

## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის 24 ნოემბერს

ერთის მხრივ სსიპ „გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ბნავისის საჯარო სკოლა“-ს (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „პრაიმ“-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის და მოღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: 2016 წლის 30 ოქტომბერს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში შემსყიდველმა გამოაცხადა № NAT160003020 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე შესაბამისი საჯაროს სკოლის მიერ ცენტრალური გათბობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, (კლასიფიკატორის (CPV45331100) კოდი და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე: 39945,16 (ოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ორმოცდახუთი) ლარი და 16 თეთრს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

### 1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

- 1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
- 1.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ეწინიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
  - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
  - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები და ხარჯთაღრიცხვა;
  - გ) სამუშაოების შესრულების ვადები;
  - დ) ნახაზები და სპეციფიკაციები;
- 1.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 1.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
- 1.5 ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
- 1.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის ათვლა იწყება: ხელშეკრულების დადებისთანავე და უნდა დასრულდეს 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეში.

### 2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 2.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 2.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 2.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 2.5 „დღე“ „კვირა“ „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### 3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1 არაერთარო გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

3.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე, სამუშაოს მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის უფლებამოსილი პირები არიან ინსპექტირების ჯგუფის წევრი: სკოლის დირექტორი - მანანა კარელიძე.

2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

4.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სასჯევები.

4.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

### 5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

5.2. მხარეები პერიოდულად განიხილავენ სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და დასაბუთებული მოსყიდვის შემთხვევაში შეაქვთ მიმდინარეობის პროცესში სათანადო ცვლილებები.

5.3. თუ მიმწოდებელი გვერაფიკით განსაზღვრულ ვადებში დაუსაბუთებლად, (შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად) ვერ ასრულებს სამუშაოებს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

## 6. თანმდევი მომსახურება

- 6.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.
- 6.2. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 7.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 7.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.
- 7.3. საბოლოო საჩუქარების შესრულებამდე „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა N2, ფორმა N3) და შესაბამისი ანგარიშგაქტურა (ან შესაბამისი დოკუმენტი), რომლის საფუძველზეც განხორციელდება ანაზღაურება.
- 7.4. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა N2 და ფორმა N3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს - ტექნიკურ ზედამხედველს; (სკოლის დირექტორს).
- 7.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შექმნების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ექაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.
- 7.6. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 8. გარანტია

- 8.1. ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომლის ვადაც განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციის წერილობით ფორმაში ასახული ვადებისა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარანტია არ ვრცელდება მექანიკურ დაზიანებებზე.

## 9. ანგარიშსწორება

- 9.1. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.
- 9.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.
- 9.3. შემსყიდველი საბოლოო ანგარიშსწორებას განხორციელებს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაცემის (მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა N2) და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის (სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის) წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
- 9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტის/დასკვნის გაცემამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- 9.5. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს სამუშაოების დასრულების შემდგომ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ანგარიშ-ფაქტურის (სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის) წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
- 9.6. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის, საქართველოში აკრედიტირებული ან/და ლიცენზირებული ექსპერტის/დასკვნის საფუძველზე. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.
- 9.7. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად

შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს აუთენტიკურ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

#### 10. ფასები

10.1. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შემცირება დასაშვებია თუ მომსახურების გაწევის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო არ არის შესრულებული სრული მოცულობით.

10.2. ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

#### 11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება

#### 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. ფორს-მაჟორულდო პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, როგორცაა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობების ამ მუხლში.

12.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განესაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

12.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალსხრივად,

ვალაზე აღრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.5. თუ კი მიმწოდებელი 12.3. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განხორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

12.6. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდება, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრებას შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო დანადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.7. ამ მუხლის 12.6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

12.8. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების 9.5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ანავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი

უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გენა-კრაფიკის გადახედვის თაობაზე.

**13. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იზაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დაგა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესით მიმართოს სასამართლოს.

**14. გამოყენებული სამართალი**

14.1. ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**15. ხელშეკრულების ენა და მოქმედების ვადა**

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცელება მხარეთა შორის შესრულებამდე ქართულ ენაზე. ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 24 ნოემბრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე, გარდა ამავე ხელშეკრულების N8 მუხლით (გარანტია) გათვალისწინებული პირობებისა.

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი:
სსიპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბნავისის საჯარო სკოლა	შ.პ.ს. „პრაიმ +“
ს/კოდი: 218047593	ს/კოდი: 401960053
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სს „ლიბერთი ბანკი“	ს/ს „პროკრედიტ ბანკი“
ანგ. GE23LI0121112952548000	ა/ა GE07PC0203600100018040
მის: გორის ქ. ნი სოფ. ბნავისი	მის: ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. კორ N9/35
დირექტორი: <i>მ. ჯომი</i> /მანანა კარელიძე/	დირექტორი: <i>[ხელმოწერა]</i> დიმიტრი კობახიძე/



მიღება-ჩაბარების აქტი

23 იანვარი, 2017წ.

სსიპ „ქ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბნავისის საჯარო სკოლა“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა კარელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პრაიმ+“, წარმოდგენილი მისი დირექტორის, დიმიტრი კობახიძის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

შემსრულებელმა შეასრულა მხარეებს შორის 2016 წლის 24 ნოემბერს ვაფორმებული ხელშეკრულებით (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1) გათვალისწინებული სამუშაო (სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები, გორის რაიონ, სოფელ ბნავისში მდებარე შენობაში.)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 37942.20 (ოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცდაორ ლარს და ოც თეთრს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).

დამკვეთი

შემსრულებელი

სსიპ „ქ. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბნავისის საჯარო

შპს „პრაიმ+“

ს/კ 218 047 593

ს/კ 401 960 053

მის: გორის რაიონი, სოფელი ბნავისი

მის: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-2 კვ. კორპ. 9. 835

დირექტორი, *მ. კარელიძე*

მანანა კარელიძე

დირექტორი,

დიმიტრი კობახიძე



სავადასახადო ანგარიშგაქვრა

განაჩი №111-01  
 დასავლელი საქრეველი ორბინა მინისტრის  
 U. U. 200 E. N99 წლის ბრძანება

დადასტურებული 22/03/2017 13:34

1 ებ-13 6546216

3 იანვარი 2017  
 იმუხაის გამოხვედვის ბიროდი  
 (ივე სოფოხია, წერი)

4 20 მარტი 2017  
 ვან-შარის თბილი  
 (ჩიხვი, ივე სოფოხია, წერი)

5 გამოდელი  
 5,1 4 0 1 9 6 0 0 5 3  
 (თოხმოდოკოი სოფო)

6 მოდელი  
 6,1 2 1 8 0 4 7 5 9 3  
 (თოხმოდოკოი სოფო)

5,2 შსს პრაიმა  
 დასავლელი (ბიხვი, ვერი)

6,2 სსიპ ვორის მუნიციპალიტეტის სოფელ მნავისის სავარი სკოლა  
 დასავლელი (ბიხვი, ვერი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	შომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქვანის ჩათვლით	შომი შომის	
				დღგ-ს თანხა	აქვანის თანხა
ცენტრალური ვაიბობის სისტემა მონტაჟით	დალი	1,000			0,0000
			37942,2000	5787,7900	
		სულ	37942,2	5787,79	0

სასაქონლო მენდადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

მოდელის ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა \_\_\_\_\_ ბ.ა.

ხელმოწერა \_\_\_\_\_ ბ.ა.

LB

ლიბერთი ბანკი

1

LB-00001458083

საგადახდო დავალება # 17

GEL

37942,20

თარიღი 2017 წლის 22 მარტი

თანხა სიტყვიერად

გადასმდელის დასახელება: სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მნავისის საჯარო სკოლა  
გადასმდელის ანგარიში GE23LB0121112952548000

ოქტომბერი  
ათასგზრასათორმოცდაორ  
ი ლარი და 20 თეთრი.

გადასმდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადასმდელზე

დასახელება: სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მნავისის საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი: 218047593

ბანკის აღნიშვნები

შტაბის თარიღი:  
22.03.2017,

მიმღები დასახელება: შ.პ.ს „პრაიმ+“

მიმღების ანგარიშის/სახაზის კოდი: GE07PC0203600100018040

ბანკი მუშისთვის თარიღი:

მიმღების ბანკი/ხაზი: "პროგრეს ბანკი" გორის ფილიალი ბანკის კოდი MIBGGE22

22.03.2017

საიდენტიფიკაციო კოდი: 401960053

გადახდის დანიშნულება: სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები



ხელმოწერა: [Handwritten signature]

გაბის ადგილი

დამატებითი ინფორმაცია:  
ხელმოწერა: [Handwritten signature]  
[Handwritten signature]

2  
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მნავისის საჯარო სკოლა  
№ 285  
LBRTGE22  
37942,20